საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კუჩხი ბედინერი“

„**კუჩხი ბედინერი**“ (ფეხი ბედნიერი), ქართული (მეგრული) სასიმღერო ფოლკლორის ერთ-ერთი პოპულარული ნიმუში. ამ საწესო სიმღერას ნეფის ოჯახში მაყრიონის შესვლისას მამაკაცები ასრულებდნენ. ქორწილის გარდა, მას სხვადასხვა დღესასწაულზეც მღეროდნენ, მაგ., ახალ წელს, სუფრასთან და სხვ. „**კ**. **ბ-**ის“ ვ არიანტია „კუნტა ბედინერი“ (მოკლე ბედინერა) და „ძველი ბედინერი“.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; გ ა ბ ი ს ო ნ ი ა თ., მ ე ს ხ ი თ., ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, თბ., 2005; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე თ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერები, მეგრული სანოტო კრებული, თბ., 1974.